რას ნიშნავს სწორი აღზრდა სხვადასხვა თაობის ადამიანებისათვის

მარიამი ზავრადაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე,
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი ზავრადაშვილი

18 ივნისი, 2021 წელი

აბსტრაქტი

აღზრდის თავისებურებებისა თუ პრაქტიკების შესწავლა ქართულ კონტექსტსა და სხვადასხვა თაობაში, ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხია. მოცემული კვლევის მიზანია შეისწავლოს ქართულ რეალობაში რას ნიშნავს სწორი აღზრდა სხვადასხვა თაობის ადამიანებისთვის. თვისებრივ კვლევაში, რომელიც ჩაღრმავებული ინტერვიუირების მეთოდით განხორციელდა სამი სხვადასხვა თაობის ადამიანებთან (თაობა III – 20-დან 30 წლამდე; თაობა II – 40-დან 50 წლამდე და თაობა I - 60-დან 70 წლამდე), გამოიკვეთა შემდეგი მთავარი თემები: ბავშვის შეხედულებებისა და ინტერესების პატივისცემა, თავისუფლება, დამოუკიდებლობის მინიჭება, მშვიდი და მოსიყვარულე გარემოს უზრუნველყოფა, დროის დათმობა, მშობელთან ურთიერთობის ფორმა, სოციუმთან ადაპტაცია და პასუხი პრობლემურ ქცევაზე. შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა ის ძირითადი თემები და ქვეთემები, რომლებიც საერთოა ან განსხვავდება დასახელებული თაობების მონაწილეთა მოსაზრებებს შორის. აღსაზრდელის შეხედულებებისა და ინტერესების პატივისცემის საკითხი სამივე თაობისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, თუმცა ახალგაზრდების მხრიდან მეტად მოხდა მასზე ყურადღების გამახვილება. სამივე ასაკობრივ ჯგუფში იყო საუბარი აღსაზრდელის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობაზე და სწორედ ეს ორი თემა დასახელდა ძირითად პროგრესად და განმასხვავებელ კომპონტენტად ახალი და ძველი აღზრდის მეთოდების შედარებისას. მშვიდი და მოსიყვარულე გარემოს უზრუნველყოფაზე მეტი აქცენტი საშუალო ასაკის (40-50 წლის) თაობაში გამოიკვეთა. შვილისთვის დროის დათმობის თემა მართალია სამივე თაობისთვის აქტუალური იყო, თუმცა ყველაზე უფროს თაობაში მეტად მიღებული აღმოჩნდა, საჭიროების შემთხვევაში, აღზრდაში ნათესავის ჩართულობა. მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაცია, მეგობრულობა და დისტანციის შემცირება განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში იყო ხაზგასმული. სოციუმთან ადაპტაცია მართალია სამივე თაობის მოსაზრებით, აღზრდის პროცესის საჭირო კომპონტენტია, თუმცა ახალგაზრდა თაობაში უფრო გამოიკვეთა აღნიშნულის ფონზე ბავშვის ინდივიდუალურობის შენარჩუნების თემა. პრობლემურ ქცევაზე საპასუხოდ სამივე თაობაში ნაწილობრივ დაიგმო ფიზიკური დასჯა და ხაზი გაესვა ბავშვისადმი ინდივიდუალურ ინტერესებზე დაფუძნებულ მიდგომებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სწორი აღზრდა, სხვადასხვა თაობა, თვისებრივი კვლევა.

Abstract

Studying characteristics and practices of parenting in Georgian context across different generations is an actual topic for our society. This study aims to understand what does optimal parenting mean in Georgian reality. In qualitative study, via in-depth interview method we gathered information from three different age participants (generation III – from 20 to 30 years old; generation II – from 40 to 50 years old; generation I – from 60 to 70 years old). Through thematic analysis the following themes emerged: respecting child's point of views and interests, freedom, independence, calm and loving environment, time cession, parent-child relationship form, social adaptation and answering problem behaviors. Themes and subthemes were identified, that are similar or different for mentioned generations' opinions. Respecting child's point of views and interests was an important theme for all three generations, but young generation paid more attention to it. Freedom and promotion of independence were also reviewed in all generations and they were main claimed components when comparing new and old methods of parenting. Love and caring environment was more empathized on by middle aged (40-50) respondents. Time cession in parenting was actual for all three generations, but the older respondents, in case of needing help, took relatives' involvement as normal. Communication between parent and child, friendship and reducing distance were specially underlined by young respondents. According to all three age groups, social adaptation was an important skill for child's upbringing, but young generation underlined the importance of maintaining individualism. Physical punishment was partially criticized in three generations and individual approaches in response to child's problem behavior was praised.

Keywords: optimal parenting; different generations; qualitative study.

სარჩევი